ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
10 აპრილი
1940 წ.
№ 83 (5784)
ფასი 10 კაპ.

შევამციროთ სამმართველო ხარჯები

ჩვენს ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ხელმძღვანელობს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამმართველო აპარატის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. ბოლშევიკების პარტია, ამხანაგი სტალინი ხშირად აღნიშნავენ ხაზგასმით და მთელი სიძლიერით, რომ საჭიროა სისტემატური მუშაობა მმართველობის იაფი, ზუსტად მოქმედი აპარატის შექმნისათვის.

პარტიის ზრუნვით დიდი წარმატებებია მიღწეული საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებასა და განმტკიცებაში. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობას იღებენ მშრომელთა უდიდესი მასები. აღზრდილია საბჭოთა ინტელიგენციის მტკიცე, თავისი საქმის მცოდნე, სოციალისტური სამშობლოს ერთგული კადრები. მაგრამ სახელმწიფო აპარატის ბევრ რგოლში ჯერ კიდევ სავსებით როდია გამოყენებული სახსრების მომჭირნეობის ყველა შესაძლებლობა.

ჩვენი მეურნეობის განვითარებამ სამმართველო აპარატის კანონზომიერი გადიდება გამოიწვია, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა აღნიშნა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე, ზოგიერთ დარგში ზედმეტი სამმართველო რგოლები წარმოიშვა, უზომოდ გადიდდა შტატები. რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პეკშევმა სესიაზე თავის გამოსვლაში ასეთი თვალსაჩინო მაგალითი მოიყვანა: რუსეთის სფს რესპუბლიკაში 1938 წელს იყო რესპუბლიკური დაქვემდებარების 325 ტრესტი; 1939 წელს ტრესტების რიცხვი 513-მდე გაიზარდა, მათი შტატი გადიდდა თითქმის ნახევრით, ხოლო ხარჯები ხელფასზე—ერთიორად. ამ ტრესტების ოპერაციების მოცულობა კი მხოლოდ 25 პროცენტით გაიზარდა. აშკარაა, რომ აქ ხდებოდა შტატების ხელაღებით გაბერვა, რომელიც სრულიადაც არ შეესაბამება მუშაობის მოცულობის გადიდებას.

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამმართველო ხარჯების შემცირება **1.950 მილიონი** მანეთით, ე. ი. თითქმის ორი მილიარდი მანეთით. ეს ეკონომია შეიძლება და მიღწეულ უნდა იქნას სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების, მისი გამარტივების, ზედმეტი რგოლებისა და გაბერილი შტატების შემცირების გზით.

თუ რა შესაძლებლობა მოგვეპოვება ამ მხრივ, ამას მეტად დამაჯერებლად გვიჩვენებს ის მდგომარეობა, რომელიც სამეურნეო სახალხო კომისარიატების მომარაგების ორგანოებში შეიქმნა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში უამრავი სხვადასხვაგვარი „მომმარაგებელი ორგანიზაცია" წარმოიშვა. სახალხო კომისარიატებში არის მრავალი პარალელურად მოქმედი და ზედმეტი მომმარაგებელი ტრესტი, კანტორა და განყოფილება, რომლებიც ინახავენ მუშაკთა უზარმაზარ, სრულიად გაუმართლებელ შტატებს. მარტო 26 საკავშირო სახალხო კომისარიატში არის 3.550 მომმარაგებელი ორგანიზაცია, რომლებიც მომარაგების მთავარ სამმართველოებს ექვემდებარებიან, ხოლო ამასთან ერთად ამავე სახალხო კომისარიატების დარგობრივ მთავარ სამმართველოებს 1370 საკუთარი მომმარაგებელი ორგანიზაცია აქვთ. ერთსა და იმავე ქალაქებში მომარაგების მთავარ სამმართველოებს და დარგობრივ მთავარ სამმართველოებს თავიანთი კანტორები და განყოფილებანი აქვთ. მომარაგების ორგანოებში ათიათასობით ადამიანი ირიცხება. მუშაობის შთაბეჭდილება რომ შექმნას, ამისათვის ბევრი მომმარაგებელი ორგანიზაცია ერთმანეთში მასალის გადაყიდვას ეწევა, სხვადასხვა უკანონო გარიგებას ახდენს, სახელმწიფო ფასებს არღვევს, საქონლის გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებს მიმართავს. მთავრობამ საჭიროდ სცნო მნიშვნელოვნად შემცირებულ იქნას მომმარაგებელ ორგანიზაციათა რიცხვი. როგორც ზედმეტნი, უქმდებიან სამეურნეო სახალხო კომისარიატების სრულიად - საკავშირო მომმარაგებელი ტრესტები და დარგობრივ მთავარ სამმართველოთა ყველა ადგილობრივი მომმარაგებელი ორგანოები—მათი კანტორები, განყოფილებანი, სააგენტოები, წარმომადგენლობანი. მარტო სამეურნეო სახალხო კომისარიატების მომმარაგებელი აპარატის რეორგანიზაციისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი სამას მილიონ მანეთ ეკონომიას მიიღებს.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. პრონინმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ილაპარაკა იმ პირველი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც გადადგმულ იქნა მოსკოვის მეურნეობაში სამმართველო ხარჯების შესამცირებლად. საკმარისი იყო მცირეოდენი მუშაობა ჩაეტარებინა მოსკოვის საბჭოს მოსკოვის მეურნეობის აპარატებში წესრიგის დასამყარებლად, — ამბობდა ამხ. პრონინი,— რომ შესაძლებელი გახდა ამ აპარატების შემცირება, 3.500-ზე მეტი კაცის საწარმოო მუშაობაზე გადაყვანა და 8 მილიონი მანეთი ეკონომიის მიღება. თუ ამ მუშაობას განვაგრძობთ, სახელმწიფო მრავალ ახალ მილიონს დაზოგავს. შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ შტატების მოწესრიგებით მუშაობა მხოლოდ მოიგებს.

ბევრი ზედმეტი ხალხი მოიპოვება არა მარტო სახალხო კომისარიატებისა და მთავარ სამმართველოების აპარატებში, არამედ საქარხნო სამმართველოებშიაც. ზოგიერთ საქარხნო სამმართველოს გადმოღებული აქვს მთავარ სამმართველოთა სტრუქტურა, ხოლო პატარა საწარმოებს — დიდი ქარხნების სტრუქტურა. ჰქმნიან უამრავ სხვადასხვა განყოფილებას, სამართველოს, სექტორს, ქვესექტორს. ყოველ ასეთ ქვესექტორში გაჩნდება ხოლმე გამგე, გამგეს გაუჩნდებიან მოადგილეები — თანაშემწენი, ჩნდება ტექნიკური პერსონალი მომსახურებისათვის. ქარხნები ჩივიან, რომ მათ მთავარ სამმართველოებიდან უამრავი მიმართვა მოსდით, ხოლო სამქროთა მუშაკები, თავის მხრივ, აღნიშნავენ, რომ იმათაც მრავალი მიმართვა მოსდით საქარხნო სამმართველოებიდან.

ბევრი სამეურნეო ორგანო, უზომოდ ადიდებდა რა თავის აპარატებს, ძვირფასი სპეციალისტებით ავსებდა მათ, რისთვისაც ქარხნებიდან და საამქროებიდან კანცელარიებში გადმოჰყავდა ინჟინრები და ტექნიკოსები. სამთო ინჟინრებისა და ტექნიკოსების უმრავლესობა მუშაობს არა მაღაროებში, სადაც ქვანახშირი ამოაქვთ, არამედ ტრესტების, კომბინატების განყოფილებებში. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში დაჰგმეს ეს დამახინჯებანი და მოითხოვეს, რათა საუკეთესო ინჟინრები და ტექნიკოსები მაღაროებში ყოფილიყვნენ გადაყვანილნი. აქედან მრეწველობის სხვა დარგების ხელმძღვანელებსაც შეუძლიათ დასკვნა გამოიტანონ. მანქანათმშენებელ ინჟინერთა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ მთავარ სამმართველოთა და საქარხნო სამმართველოთა აპარატში იმყოფება, მაშინ როდესაც ისინი საჭირონი არიან საამქროებში. თევზის მრეწველობის სპეციალისტთა უმრავლესობა თავმოყრილია არა წარმოებაში, არამედ დაწესებულებებში. აპარატის გამარტივება, სახსრების ეკონომიასთან ერთად, საშუალებას მოგვცემს აგრეთვე წარმოებაში გადავიყვანოთ სპეციალისტების დიდი რაოდენობა.

ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოსპობილია უმუშევრობა. აპარატიდან განთავისუფლებულ მუშაკებს შეეძლებათ წარმატებით გამოიყენონ თავიანთი ძალღონე წარმოებაში, ოლქებსა და რაიონებში, სადაც ისინი საჭირონი არიან.

სამმართველო ხარჯების თითქმის ორი მილიარდი მანეთით შემცირება მიღწეული იქნება არა მარტო იმით, რომ გაბერილი შტატები შემცირდება, არამედ იმითაც, რომ მომჭირნეობით დაიხარჯება სახსრები სამივლინებო, სატელეფონო, სატელეგრაფო და სხვა საჭიროებისათვის. საკმაოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები სრულიად ტყუილ-უბრალოდ იხარჯება ზედმეტ მიმოწერაზე. ხელმძღვანელობის ქაღალდურ-ბიუროკრატიული მეთოდების მოყვარულნი ჰქმნიან ისეთი ცირკულარების განუწყვეტელ ნაკადს, რომლებიც სრულიად უსარგებლოა და არავისათვის არ არის საჭირო; ამ ცირკულარებს დიდი რაოდენობით ამრავლებენ და ჰგზავნიან მისამართით — „ყველას, ყველას, ყველას". ეჭვის შეტანა არ შეიძლება ტელეგრაფისა და ტელეფონის სარგებლობაში. მაგრამ არ შეიძლება მათი ბოროტად გამოყენება. შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის აპარატმა მიმდინარე წლის იანვარში ერთისამად „გადააჭარბა" მისთვის დაწესებულ სატელეგრაფო ხარჯებს. ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა იანვარში დეპეშებზე 120 ათასი მანეთი დახარჯა. გორლოვკის ქარხნის დირექტორმა მთავარ სამმართველოდან ერთ დღეში 25 დეპეშა მიიღო.

საწარმოსთან სახალხო კომისარიატისა და მთავარ სამმართველოს ურთიერთობის ნაცვლად, კარგ საშუალებას — მივლინებებს ხშირად მაშინაც იყენებენ, როცა ეს საჭირო არ არის. ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტიულ კრებაზე ილაპარაკეს ერთ თანამშრომელზე, რომელიც ურალის ერთერთ მეტად თვალწარმტაც ადგილას გაემგზავრა „მივლინებაში" მთელი ოჯახითურთ მთელი ზაფხულით და იქ იცხოვრა, როგორც აგარაკზე, ისე, რომ თითიც არ ვაუნძრევია. სახალხო კომისარიატებსა და მთავარ სამმართველოებში ხშირად მოდიან ათობით ადამიანები და თვეობით ცხოვრობენ მოსკოვში, თუმცა ეს სრულიადაც არ არის საჭირო. ვისთვის არ არის ცხადი, რომ ამგვარი მივლინებანი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფო სახსრების ფლანგვა.

სამმართველო ხარჯები ზოგჯერ იმის გამო იზრდება, რომ დაწესებულებათა ზოგი ხელმძღვანელი, გვერდს უვლის რა კანონს, ანიავებს ხელფასის ფონდებს, სრულიად უსაფუძვლოდ ადიდებს ხელფასს, დაუმსახურებელ პრემიებს იძლევა და სხვ. სამმართველო აპარატის მომჭირნეობითი, ზუსტი მუშაობის მისაღწევად საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ საფინანსო დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ. ყოველი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი, ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია იზრუნოს სახელმწიფოს კაპიკისათვის. პარტიული ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები, პროფკავშირები, კომკავშირი უნდა დაეხმარონ სამეურნეო ხელმძღვანელებს მომჭირნეობითი, ზუსტად მომუშავე აპარატისათვის ბრძოლაში.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ჩვენს მუშაკს, მცირესაც და დიდსაც, ყოველთვის ახსოვდეს თავისი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე, ყოველთვის ახსოვდეს თავისი მოვალეობა—გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს და ყაირათიანად მოეპყრას მას, დაიცვას მომჭირნეობა ხარჯებში და ნამდვილად გაუფრთხილდეს ხალხის კაპიკს!" (მოლოტოვი).

„პრავდის" მოწინავე, 9/IV.

უკანასკნელი ცნობები

რეიტერის სააგენტო კუტისა და გერმანიის დესპანის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ოსლოში გადმოგვცემს ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ კუტის განცხადებას მისი მოლაპარაკების შესახებ გერმანიის დესპანთან. კუტმა განაცხადა, გერმანიის დესპანმა დილის 5 საათზე მინახულა და გადმომცა წინადადება იმის შესახებ, რომ ნორვეგიამ წინააღმდეგობა არ გაუწიოს გერმანიის ჯარის შემოყვანას. დესპანმა აღნიშნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი და საფრანგეთი მოახდენენ ნორვეგიის ოკუპაციას.

ამის შემდეგ ნორვეგიის მთავრობა შეიკრიბა მდგომარეობის განსახილველად და გადასწყვიტა, რომ ნორვეგიას არ შეუძლია შეასრულოს გერმანიის წინადადება „რამდენადაც ეს წინადადება არღვევს ნორვეგიის სუვერენიტეტს".

საზღვაო ბრძოლა ნორვეგიის ნაპირებთან

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროსთან ბრძოლა სწარმოებს მოკავშირეთა ესკადრასა და გერმანიის ფლოტს შორის.

რიბენტროპის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე

ბერლინი, 9 აპრილი (საქდესი). დღეს უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა კონფერენციას დაესწრო საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი. წაკითხულ იქნა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი ნორვეგიისა და დანიის მთავრობების მიმართ. რიბენტროპმა წაიკითხა მოწოდება ნორვეგიისა და დანიის სამხედრო ძალებისა და მოსახლეობის მიმართ.

ნორვეგიის მთავრობამ დასტოვა ოსლო

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნორვეგიის მთავრობამ დასტოვა ოსლო და გადავიდა ხამარში (ნორვეგიის ცენტრალური ნაწილი).

სატელეფონო კავშირის შეწყვეტა

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ოსლოსა და სტოკჰოლმს შორის, აგრეთვე კოპენჰაგენსა და ნორვეგიას შორის სატელეფონო კავშირი შუაღამიდან შესწყდა.

○

პარიზი, 9 აპრილი (საქდესი). ჰავასის სააგენტო ოსლოდან გადმოგვცემს: „ყოველგვარი კავშირი ლონდონსა და კოპენჰაგენს შორის შეწყვეტილია. ამან შეუძლებელი გახადა სატელეფონო კავშირის დაჭერა სკანდინავიის ნახევარკუნძულის ყველა პუნქტთან".

გერმანიის მთავრობის მემორანდუმი

ბერლინი, 9 აპრილი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის მთავრობის იმ მემორანდუმის ტექსტს, რომელიც დანიისა და ნორვეგიის მთავრობებს გადაეცათ. მემორანდუმში ნათქვამია: „წინააღმდეგ გერმანელი ხალხისა და მისი მთავრობის გულწრფელი მისწრაფებისა ეცხოვრათ ინგლისელ და ფრანგ ხალხებთან მშვიდობიანად და მეგობრულად და მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არავითარი გონივრული საფუძველი ურთიერთშორის დავისათვის, ლონდონისა და პარიზის მმართველებმა ომი გამოუცხადეს გერმანელ ხალხს. გააჩაღეს რა მათ მიერ დიდიხნიდან მომზადებული აგრესიული ომი გერმანიის იმპერიისა და თვით გერმანელი ხალხის არსებობის წინააღმდეგ, ინგლისმა და საფრანგეთმა იმავდროულად საზღვაო ომი დაიწყეს ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ და ამ ომით ცდილობდნენ, სრულიად უგულვებელჰყოფდნენ რა საერთაშორისო სამართალს, განეხორციელებინათ დამშევის ბლოკადა გერმანელი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ. მათი დაუნდობელი ღონისძიებანი ბლოკადის განხორციელებისათვის ნეიტრალურ ქვეყნებზედაც გავრცელდა. ნეიტრალური ნაოსნობისა და ნეიტრალური ვაჭრობისათვის მძიმე ზიანის მიყენება უშუალო შედეგია ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გამოყენებული ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალს და რომლებსაც გერმანია იძულებულია უპასუხოს თავდაცვითი ღონისძიებებით. გარდა ამისა, ინგლისის ამ ღონისძიებებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს თვით ნეიტრალიტეტის ცნებას.

გერმანია ისწრაფვოდა უზრუნველეყო ნეიტრალური ქვეყნების უფლებები, ცდილობდა რა ომი ზღვაში შემოეფარგლა იმ ზონებით, რომლებიც გერმანიასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის არის. ინგლისი, პირიქით, აპირებდა რა აეშორებინა საფრთხე თავისი კუნძულებისათვის და იმავე დროს ხელი შეეშალა გერმანიის ვაჭრობისათვის ნეიტრალურ ქვეყნებთან, საზღვაო ომი სულ უფროდაუფრო გადაჰქონდა ნეიტრალური ქვეყნების წყლებში. მიჰყვებოდა რა ომის წარმოების ამ ნამდვილად ბრიტანულ მეთოდს, ინგლისი, არღვევდა რა საერთაშორისო სამართალს, სულ უფროდაუფრო აჩაღებდა ომს ზღვასა და ჰაერში სამამულო წყლებში, აგრეთვე დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიებზე. ამბების ასეთი განვითარების შესაძლებლობას გერმანია ომის დასაწყისიდანვე ითვალისწინებდა. ახორციელებდა რა თავის საშინაო და საგარეო ეკონომიურ პოლიტიკას, გერმანიამ შესძლო გაეწია წინააღმდეგობა ინგლისის ცდისათვის დამშევის ბლოკადით გერმანია ნეიტრალურ ქვეყნებს მოეწყვიტა. ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სულ უფროდაუფრო ნათელი ხდება სრული გაკოტრება ბრიტანეთის პოლიტიკისა გერმანიის ბლოკადის განხორციელების საქმეში. ამბების ასეთმა განვითარებამ, აგრეთვე გერმანიის დასავლეთ სიმაგრეების ხაზზე უშუალო თავდასხმის განხორციელების შეუძლებლობამ და ინგლისსა და საფრანგეთში უფროდაუფრო მზარდმა შეშფოთებამ გერმანიის მიერ ზღვასა და ჰაერში წარმატებით წარმოებულ კონტრიერიშებთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს გამოიწვია ის, რომ ორივე ქვეყანა ყოველმხრივ ცდილობს ომის ასპარეზი გადაიტანოს ნეიტრალურ ტერიტორიაზე როგორც ევროპაში, ისე ევროპის გარედაც.

ის გარემოება, რომ ინგლისსა და საფრანგეთს განზრახული აქვთ ისარგებლონ ევროპის მცირე სახელმწიფო ტერიტორიებით, თავისთავად ცხადია; შეესაბამება ინგლისის ტრადიციებს. ამ უკანასკნელ თვეებში ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა აშკარად გამოაცხადეს ამ ტერიტორიებზე ომის გაფართოების თავიანთი გეგმები. ამაში მდგომარეობდა მათი ძირითადი სტრატეგიული მიზანი. ამის პირველი საბაბი რუსეთ-ფინეთის კონფლიქტი იყო. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა აშკარად განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ ომის გზით ჩაერიონ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მომხდარ კონფლიქტში და ამგვარად გამოიყენონ ჩრდილოეთის ქვეყნები, როგორც ბაზა ოპერაციების გასაშლელად. ზავმა, რომელიც ჩრდილოეთში დაიდო, ინგლისისა და საფრანგეთის სურვილისა და მოლოდინის წინააღმდეგ, უკვე მაშინ შეუშალა მათ ხელი შეესრულებინათ თავიანთი გადაწყვეტილება.

თუ ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა უკანა რიცხვით განაცხადეს, რომ მათ სურდათ გადაედგათ ეს ნაბიჯები სათანადო სახელმწიფოთა თანხმობის მიხედვით. ეს უხეში სიცრუეა. გერმანიის მთავრობას მოეპოვება დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ერთად გადაწყვიტეს განეხორციელონ თავიანთი მიზნები ჩრდილოეთის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამ უკანასკნელთა თანხმობის მიუღებლად. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შემდეგს გარემოებასა აქვს: იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გერმანიის მთავრობას მოეპოვება, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების პოზიციიდან, რომელიც მათ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საზავო ხელშეკრულების დადებამდე და ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ეკავათ, უეჭველად გამომდინარეობს ის, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფინეთის ამხედრების შესახებ სხვა გეგმების შესრულებასაც გულისხმობდა. ინგლისი და საფრანგეთი სკანდინავიაში შემდეგ მიზნებს ისახავდნენ: 1. მოეწყვიტათ გერმანია ჩრდილოეთის მადნისაგან ნარვიკის დაკავებით. 2. ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გადასხმით სკანდინავიის ქვეყნებში შეექმნათ ახალი ფრონტი გერმანიაზე თავდასხმისათვის ჩრდილოეთის ფლანგიდან. ამასთანავე ჩრდილოეთის ქვეყნები ინგლის-საფრანგეთის ჯარისათვის ომის ასპარეზი უნდა ყოფილიყო და ამავე დროს ჩრდილოეთის ხალხებს, ძველი ინგლისური ტრადიციის თანახმად, დამხმარე ჯარების როლი უნდა შეესრულებინათ. ხოლო, როდესაც რუსეთ-ფინეთის საზავო ხელშეკრულების დადების გამო ეს გეგმა ჩაიშალა, გერმანიის მთავრობამ ცნობად მიიღო, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა მაშინვე მიჰმართეს გარკვეულ ცდებს სხვა სახით თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთი განუწყვეტელი მისწრაფებით — მოამზადონ ინტერვენცია ჩრდილოეთში ამ უკანასკნელ კვირებში სავსებით აშკარად აცხადებენ თეზისს, რომ ახლანდელ ომში არ უნდა იყოს არავითარი ნეიტრალიტეტი და რომ მცირე ქვეყნების მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს თეზისი ვრცელდებოდა დასავლეთის სახელმწიფოების პროპაგანდით და მას თან ახლდა ნეიტრალურ სახელმწიფოებზე პოლიტიკური ზეგავლენის უფრო მეტად გაძლიერება. უკანასკნელ ხანებში კონკრეტული ცნობები სკანდინავიაში დასავლეთ სახელმწიფოების ჯარის მომავალ გადასხმაზე კვლავ მოგვდიოდა. თუ კიდევ შეიძლებოდა რაიმე ეჭვი შეგვსვლოდა დასავლეთ სახელმწიფოების გადაწყვეტილებაში — ინტერვენცია მოეწყოთ ჩრდილოეთში, ამ უკანასკნელ დღეებში ეს ეჭვი სავსებით იქნა გაფანტული, გერმანიის მთავრობას უეჭველი საფუძვლები მოეპოვება იფიქროს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს განზრახული აქვთ ამ უახლოეს დღეებშივე მოულოდნელად დაიკავონ ჩრდილოეთის სახელმწიფოების ტერიტორია. ჩრდილოეთის სახელმწიფოებმა თავის მხრივ არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწიეს ინგლისისა და საფრანგეთის ჩარევას, არამედ არავითარი ზომები არ მიუღიათ მათი ტერიტორიული წყლების დარღვევის წინააღმდეგ. გერმანიის მთავრობა ამიტომ ანგარიშს უწევს იმას, რომ ნორვეგიის სამეფო მთავრობა [illegible] დაიკავებს, თუ ინგლისი და საფრანგეთი თავიანთ გეგმებს განახორციელებენ. მაშინაც კი, რომ ნორვეგიის სამეფო მთავრობას განზრახული ჰქონოდა საპასუხო ზომების მიღება, გერმანიის მთავრობას კარგად ესმის, რომ ნორვეგიის სამხედრო ძალები საკმარისი არაა ინგლის-საფრანგეთის მოქმედებისათვის წარმატებითი წინააღმდეგობის გასაწევად. ბრძოლის ამ გადამწყვეტ ფაზაში, ბრძოლისა, რომელიც ინგლისმა და საფრანგეთმა თავს მოახვია გერმანელ ხალხს, გერმანიის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოითმინოს, რომ სკანდინავიის ქვეყნები გადააქციონ გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომის ასპარეზად და რომ ნორვეგიელი ხალხი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩათრეულ იქნას ომში გერმანიის წინააღმდეგ. გერმანიას არ სურს უმოქმედოდ ელოდოს მის მოწინააღმდეგეთა გეგმების განხორციელებას. გერმანიის მთავრობა შეუდგა დღეს გარკვეულ სამხედრო ოპერაციებს, რომლებსაც მიზნად აქვთ დაიკავონ ნორვეგიის ტერიტორიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები. გერმანიის მთავრობა კისრულობს ომის განმავლობაში დაიცვას ნორვეგიის სამეფო. ამიერიდან იგი აღსავსეა გადაწყვეტილებით, რათა ყოველი საშუალებით დაიცვას მშვიდობიანობა ჩრდილოეთში და უზრუნველჰყოს იგი საბოლოოდ ინგლისისა და საფრანგეთის ყოველივე ხრიკისაგან. გერმანიის მთავრობას არ სურდა ამბების ასეთი განვითარება. ამის პასუხისმგებლობა ინგლისსა და საფრანგეთს ეკისრება. ორივე სახელმწიფომ ფარისევლურად გამოაცხადა მცირე ქვეყნებს ვიცავთო. ნამდვილად კი ისინი ძალას ატანენ ამ ქვეყნებს იმ იმედით, რომ ამრიგად განახორციელებენ სულ უფრო და უფრო აშკარად გამხდარ მათს მისწრაფებას გერმანიის მოსპობისათვის. გერმანიის ჯარს ნორვეგიის ტერიტორია მტრული განზრახვით როდი დაუკავებია. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა არ აპირებს გამოიყენოს დაკავებული პუნქტები, როგორც საოპერაციო ბაზები ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველად სანამ ამას არ აიძულებენ გერმანიას ინგლისი და საფრანგეთი თავიანთი ღონისძიებებით. გერმანიის სამხედრო ოპერაციები უფრო იმას ისახავენ მიზნად, რომ ხელი შეუშალონ ინგლისსა და საფრანგეთს დაიკავონ ჩრდილოეთის ქვეყნების ტერიტორია თავიანთი დასაყრდენი პუნქტების შესაქმნელად. გერმანიის მთავრობა იმ აზრისაა, რომ გერმანიის არმიის ეს ღონისძიებანი ემსახურებიან აგრეთვე თვით ნორვეგიის ინტერესებს, ვინაიდან იცავენ სკანდინავიის ქვეყნებს იმისაგან, რომ მათი ტერიტორიები ახლანდელ ომში ბრძოლის ველად არ გადაიქცნენ. გერმანიის მთავრობა ამიტომ მოელის, რომ ნორვეგიის სამეფო მთავრობა და ნორვეგიელი ხალხი გაიგებენ გერმანიის საქციელს და წინააღმდეგობას არ გაუწევენ მას. ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლეულ იქნება გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ყოველი საშუალებით და ეს წინააღმდეგობა მხოლოდ სრულებით უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევდა. ამიტომ გერმანია სთხოვს ნორვეგიის მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ყოველივე ზომები, რათა გერმანიის ჯარის ნაწილების მოქმედებას არ წააწყდეს დაბრკოლებასა და სიძნელეებს. გერმანია-ნორვეგიის იმ ურთიერთობის სულისკვეთებით, რომელიც მუდამ კარგად ვითარდებოდა, გერმანიის მთავრობა უცხადებს ნორვეგიის სამეფო მთავრობას, რომ გერმანიას არ აქვს განზრახული დაარღვიოს ნორვეგიის სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა არც ახლა არც მომავალში".

მემორანდუმი რადიოში წაიკითხა პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის სპეციალური ცნობა

ბერლინი, 9 აპრილი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ შემდეგი სპეციალური ცნობა გამოაქვეყნა: „9 აპრილს, ადრე დილით გერმანიის მოტორიზებულმა ნაწილებმა და ჯავშნიანმა ძალებმა გადალახეს გერმანია-დანიის საზღვარი ფლენსბურგისა და ტონდერნის რაიონში და აპენრადისა და ესბიერგზე გავლით წინსვლას განაგრძობენ ჩრდილოეთისაკენ. განთიადისას გერმანიის ჯარი გადავიდა მცირე ბელტის სრუტეში და დაიკავა ბელტის ხიდი. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალები შევიდნენ დიდი ბელტის სრუტეში და გადასხეს ჯარი კორსერსა და ნიბურგში. ვარნემიუნდედან გერმანიის ჯარის ნაწილები გადავიდნენ გედსერში და იქიდან დაიწყეს წინსვლა ჩრდილოეთისაკენ. იმავდროულად დაიკავეს ვორდინგბორგის ხიდი. მდ. ვარნოვის შესართავში გერმანიის ჯარის ნაწილები გადავიდნენ გლეჯერში და იქიდან დაიწყეს წინსვლა ჩრდილოეთისაკენ. იმავდროულად დაიკავეს ვორდინგბორგის ხიდი ზელანდიის კუნძულის სამხრეთ ნაწილში. გერმანიის ჯარი განთიადისას გადავიდა კოპენჰაგენში. ციხე და რადიოსადგური დაიკავეს გერმანიის ჯარებმა. 8 საათიდან მთელი ქალაქი გერმანელების ხელშია".

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 9 აპრილი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „გერმანიის ჯარის წინსვლა იუტლანდიაში ჩრდილოეთისაკენ და კუნძულებზე სწრაფად და წარმატებით ხორციელდება. დანიის მთავრობამ უბრძანა ჯარს არ გასწიოს არავითარი წინააღმდეგობა. გერმანიისა და დანიის შტაბებმა დღეს დილით ორმხრივი კავშირი დაამყარეს. გერმანიის ჯარის მიერ უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტების ოკუპაცია მთელს ნორვეგიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ჯარის სამივე სახეობის ნაწილები ურთიერთშეწყობით მოქმედებენ. ნორვეგიის ჯარის ადგილობრივი უმნიშვნელო წინააღმდეგობა შესწყდა. იუტლანდიისა და სამხრეთ ნორვეგიის აეროდრომებზე დაეშვნენ გერმანიის სამხედრო ძალები".

ცნობა გერმანიის ჯარის მიერ ბერგენისა და ტრონჰეიმის დაკავების შესახებ

ნიუ-იორკი, 9 აპრილი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის რადიომაუწყებლობის კომპანიის „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემს" ლონდონის განყოფილების ცნობით გერმანიის ჯარმა დაიკავა ბერგენი და ტრონჰეიმი.

დიდი ბრძოლა ჩრდილოეთ ზღვაში

ბერლინი, 9 აპრილი (საქდესი). საქმეს კარგადგაცნობილ წრეებში იტყობინებიან, რომ ჯერ კიდევ 8 აპრილს ღამით ჩრდილოეთ ზღვაში დიდი ბრძოლა დაიწყო გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებს შორის. ბრძოლა ახლაც გრძელდება.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების გადაწყვეტილება

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას იმის შესახებ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გამოსთქვეს თავიანთი განზრახვა, რომ „ნორვეგიასთან სრული თანამშრომლობით აწარმოონ ომი. საჭირო სამხედრო ღონისძიებანი ხმელეთსა და ზღვაზე მიღებულ იქნება საფრანგეთის მთავრობასთან ერთად".

ამერიკის შეერთებული შტატები და ნორვეგიის ამბები

ნიუ-იორკი, 9 აპრილი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ნორვეგიაში გარიმანმა აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მან იკისრა ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების დაცვა ნორვეგიაში.

ჰოლანდიის არმიაში შვებულებები გაუქმებულია

ლონდონი, 9 აპრილი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ჰააგიდან იუწყება, რომ ჰოლანდიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ დროებით გააუქმა შვებულებები იმ სამხედრო ნაწილებში, რომლებიც განლაგებული არიან სანაპიროების მახლობლად და საზღვრებზე.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კ ა ნ ო ნ ი

საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი მოსახლეობისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების შესახებ

მუხლი 1. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღებით იბეგრებიან მუშები, მოსამსახურენი, ლიტერატორები, ხელოვნების მუშაკები, შინამრეწველნი, ხელოსნები და სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, რაც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება.

მუხლი 2. გამოსაღები გადახდება იმ შემოსავლიდან, რომელიც დაწესდა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებისას.

მუხლი 3. საშემოსავლო გადასახადის კანონით გათვალისწინებული შეღავათები შეუფარდდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების გადახდევინების დროსაც.

მუხლი 4. მუშათა და მოსამსახურეთაგან და იმ სხვა მოქალაქეთაგან, რომელნიც საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებული არიან, გამოსაღები გამოიანგარიშება გასული თვის მათი ხელფასის მიხედვით და გამოექვითებათ მიმდინარე თვის პირველი ნახევრის ხელფასიდან შემდეგი რაოდენობით:

თვიური შემოსავლის ოდენობა	გამოსაღების თანხა
151 მანეთიდან 200 მანეთამდე	1 მან. 05 კაპ. + იმ თანხის 2,8 პროცენტი, რომელიც 150 მანეთს აღემატება.
201 მანეთიდან 300 მანეთამდე	2 მან. 30 კაპ.+იმ თანხის 3 პროცენტი, რომელიც 200 მანეთს აღემატება.
301 მანეთიდან 500 მანეთამდე	5 მან. 30 კაპ.+იმ თანხის 3,5 პროცენტი, რომელიც 300 მანეთს აღემატება.
501 მანეთიდან 700 მანეთამდე	12 მან. 30 კაპ.+იმ თანხის 4,5 პროცენტი, რომელიც 500 მანეთს აღემატება.
701 მანეთიდან 1.000 მანეთამდე	21 მან. 30 კაპ.+იმ თანხის 5,5 პროცენტი, რომელიც 700 მანეთს აღემატება.
1001 მანეთი და მეტი	37 მან. 80 კაპ.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 1.000 მანეთს აღემატება.

შენიშვნა: მუშათა და მოსამსახურეთა იმ შემოსავალზე, რომელსაც ისინი იღებენ შეთავსებით (არა ძირითად სამუშაო ადგილზე) და დროებით სამუშაოთა შესრულებით, გამოსაღები გამოიანგარიშება ცალკე, მუშაობის თვითეული ადგილის მიხედვით. არადასაბეგრი მინიმუმი (მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის კანონის მე-2 მუხლი) ამ შემოსავალს არ შეუფარდდება და 150 მანეთამდე თვიურ შემოსავალზე გამოსაღები გამოიანგარიშება თვიური შემოსავლის თანხის 0,7 პროცენტის რაოდენობით.

მუხლი 5. მუშებისა და მოსამსახურეების თანაბრად, მაგრამ გამოსაღების ოდენობის 10 პროცენტით გადიდებით, გამოსაღებს იხდიან:

ა) კოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები, რომელნიც არტელების საერთო სახელოსნოებში მუშაობენ;

ბ) სატრანსპორტო სარეწაო-კოოპერატიული არტელების წევრები, რომელთა მუშა საქონელიც განსაზოგადოებულია;

გ) კოოპერირებული შინამრეწველნი და ხელოსნები, აგრეთვე მუშები და მოსამსახურენი იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც ისინი იღებენ არტელებისა და საწარმოებისაგან შინ შესრულებული მუშაობისათვის, თუ ისინი სამუშაოს არ ასრულებენ ცალკეულ მოქალაქეთათვის, არ სარგებლობენ სარეწაოში საკუთარი მასალით და არ იყენებენ თავის მუშაობაში სპეციალურ მოწყობილობას (მანქანებს, გარდა საკერავი მანქანებისა, დაზგებსა და სხვ.).

მუხლი 6. ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა შემოსავალზე გამოსაღები გადახდევინებულ იქნება საშემოსავლო გადასახადთან ერთდროულად შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გამოსაღების თანხა
1.800 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 0,7 პროცენტი.
1.801 მანეთიდან 2.400 მანეთამდე	12 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 2,5 პროცენტი, რომელიც 1.800 მანეთს აღემატება.
2.401 მანეთიდან 3.600 მანეთამდე	27 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 3 პროცენტი, რომელიც 2400 მანეთს აღემატება.
3.601 მანეთიდან 6.000 მანეთამდე	63 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 3,5 პროცენტი, რომელიც 3.600 მანეთს აღემატება.
6.001 მანეთიდან 8.400 მანეთამდე	147 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 4,5 პროცენტი, რომელიც 6.000 მანეთს აღემატება.
8.401 მანეთიდან 12.000 მანეთამდე	255 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 5,5 პროცენტი, რომელიც 8.400 მანეთს აღემატება.
12. 001 მანეთი და მეტი	453 მან. 60 კაპ.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 12.000 მანეთს აღემატება.

მუხლი 7. არაკოოპერირებულ საშინამრეწველო-სახელოსნო სარეწაოთაგან, ნაგებობათაგან, ქალაქებში და მუშათა დაბებში სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ შემოსავალზე და სხვა შემოსავალზე, გარდა ისეთებისა, რომლებიც 4, 5 და 6 მუხლების მიხედვით იბეგრება, გამოსაღები გადახდევინებულ იქნება შემდეგი ოდენობით:

წლიური შემოსავლის ოდენობა	გამოსაღების თანხა
1200 მანეთამდე	შემოსავლის თანხის 2,5 პროცენტი.
1201 მანეთიდან 2400 მანეთამდე	30 მან.+იმ თანხის 4 პროცენტი, რომელიც 1200 მანეთს აღემატება.
2401 მანეთიდან 4800 მანეთამდე	78 მან.+იმ თანხის 6 პროცენტი, რომელიც 2400 მანეთს აღემატება.
4801 მანეთიდან 10000 მანეთამდე	222 მან.+იმ თანხის 7,5 პროცენტი, რომელიც 4800 მანეთს აღემატება.
10001 მანეთი და მეტი	612 მან.+იმ თანხის 8 პროცენტი, რომელიც 10000 მანეთს აღემატება.

მუხლი 8. გამოსაღების თანხა, გამოანგარიშებული მე-7 მუხლის თანახმად, იმ არაკოოპერირებულ შინამრეწველთა შემოსავალზე, რომელნიც ნაწარმს საკუთარი მასალით აკეთებენ და არაკოოპერირებულ მეურმე - მეეტლეთა შემოსავალზე, დიდდება 35 პროცენტით, ხოლო რელიგიური კულტის მსახურთა და არაშრომითი შემოსავლის მქონე სხვა პირთა შემოსავალზე—40 პროცენტით.

მუხლი 9. ექიმებს, ფერშლებს, ადვოკატებს, მასწავლებლებსა და სხვა პირთ კერძო პრაქტიკიდან მიღებულ იმ შემოსავალზე, რომლის ოდენობაც წლიურად 10.000 მანეთს არ აღემატება, გამოსაღების თანხა, გამოანგარიშებული მე-7 მუხლის თანახმად უმცირდებათ 25 პროცენტით.

მუხლი 10. საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები, მეურმე-მეეტლეთათვის ხელფასის მიცემის დროს ვალდებული არიან გამოუქვითონ მათ გამოსაღების ანგარიშში მათთვის მიცემული ხელფასის თანხის 5 პროცენტი.

მუხლი 11. არაკოოპერირებული შინამრეწველები, ხელოსნები და სხვა მოქალაქენი იმათ გარდა, ვინც 4, 5 და 6 მუხლების თანახმად იბეგრება, გამოსაღებს იხდიან თანაბარ ნაწილად 4 ვადაში: 5 მარტს, 5 მაისს, 5 აგვისტოს და 5 ნოემბერს.

მუხლი 12. საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების მიერ გამოქვითული გამოსაღები თანხის გადარიცხვა ბანკის დაწესებულებებში აგრეთვე რაიონულ (ქალაქის) საფინანსო განყოფილებებისათვის გამოსაღების გამოქვითვის შესახები ანგარიშის წარდგენა ხდება საშემოსავლო გადასახადის კანონით დადგენილი წესის თანახმად. ამავე წესით დაიდება სასჯელი გამოსაღების კანონის დარღვევისათვის.

მუხლი 13. დადგენილი ვადებისათვის გამოსაღების გადაუხდელობის შემთხვევაში, მენარჩენეთა მიმართ მიღებულ იქნება საშემოსავლო გადასახადის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომები.

მუხლი 14. ამ კანონის გამოყენების ინსტრუქციას სცემს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

მუხლი 15. ეს კანონი ძალაში შედის 1940 წლის 1 იანვრიდან, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეებს (და მათთან გათანაბრებულ გადამხდელებს) ამ კანონის საფუძველზე გამოსაღების პირველი გამოქვითვა დაეკავებათ 1940 წლის ივნისის პირველი ნახევრის ხელფასიდან.

მუხლი 16. უკრაინის სს რესპუბლიკის ვოლინის, დროჰობიჩის, ლვოვის, როვნოს, სტანისლავისა და ტარნოპოლის ოლქებში და ბელორუსიის სს რესპუბლიკის ბარანოვიჩის, ბელოსტოკის, ბრესტის, ვილეისკისა და პინსკის ოლქებში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიდან, ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა შემოსავლიდან, აგრეთვე ექიმების, ფერშლებისა და ვექილების კერძო პრაქტიკის შემოსავლიდან გამოსაღები გადახდევინებულ იქნება ამ კანონის საფუძველზე.

მოქალაქეთა სხვა წყაროების შემოსავლიდან გამოსაღები ამ ოლქებში გადახდევინებულ იქნება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 მარტის № 370 დადგენილებით შემოღებული წესით.

მუხლი 17. ამ კანონის ძალაში შესვლასთან ერთად გაუქმებულად ჩაითვალოს:

ა) სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ „ქალაქებში და სოფელადგილებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების შესახებ“ 1934 წლის 23 იანვარს მიღებული დადგენილების 1 მუხლის პუნქტი „ა“, მუხლები 2-4, 7, 8, 12-17 და 19-25 (სსრ კავშირის 1934 წლის კანონთა კრებული № 5. მუხ. 38; 1935 წ. № 22, მუხ. 170; 1936 წ. № 2, მუხ. 18); სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წ. 23 იანვრის დადგენილების მუხლი 18 (სსრ კავშირის 1937 წლის კანონთა კრებული № 19, მუხ. 72), ძალას ჰკარგავს კოლმეურნეობის იმ არაწევრი მუშებისა და მოსამსახურეების მიმართ, რომლებიც ქალაქებსა და მუშათა დაბებში სოფლის მეურნეობას მისდევენ.

ბ) მუხლი 1 სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1935 წ. 14 იანვრის დადგენილებისა „ქალაქებში და სოფლადგილებში 1935 წლისათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების შესახებ“ (სსრ კავშირის 1935 წლის კანონთა კრებული № 4, მუხ. 31).

მუხლი 18. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ რესპუბლიკათა კანონმდებლობაში ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 4 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე

მოსკოვი, 8 აპრილი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ამხ. მ. ი. კალინინმა სხვა დაჯილდოებულთა შორის პოლკოვნიკ ვ. ვ. ნანეიშვილს გადასცა სიგელი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ, ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი. იმ ნაწილში, რომლის მეთაურიც არის ამხ. ნანეიშვილი, თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში რამდენიმე ასეული კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით და 15 ამხანაგს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება. თვითონ ამხ. ნანეიშვილი ბევრჯერ მონაწილეობდა დიდ ოპერაციებში, რომლებმაც ხელი შეუწყო თეთრფინელთა გამაგრებული რაიონის გარღვევას.

გამოფენა, მიძღვნილი ლენინის დაბადების 70 წლისთავისადმი

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში შეუდგნენ მზადებას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობისათვის. საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდებიდან აგროვებენ და წესრიგში მოჰყავთ მთელი ის ლიტერატურა, როგორც სსრკ ხალხთა, ისე უცხო ენებზე, რაც დაწერილია და გამოცემულია ლენინისა და ლენინიზმის შესახებ.

გამოფენის ერთერთ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება თვით ლენინის ნაშრომები.

გამოფენა გაიხსნება 22 აპრილს და გასტანს ორ კვირას.

ქ რ ო ნ ი კ ა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მოსკოვში არსებულ საელჩოებსა და მისიებს აცნობა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის ა. წ. 12 მარტს საზავო ხელშეკრულების დადებასა და სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ა. წ. 13 მარტის 12 საათიდან შეწყვეტილია ფინეთის სანაპიროსა და მისი მომიჯნავე წყლების ბლოკადა, რომელიც გამოცხადებული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 1939 წლის 7 დეკემბრისა და 1940 წლის 3 თებერვლის ნოტებით.

○

სსრ კავშირის პროკურორმა ამხ. **პანკრატიევმა,** სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-115 მუხლის შესაბამისად, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის პროკურორად დანიშნა **დ. გ. ჯებრაილზადე.**

ინგლის-საფრანგეთის ნოტა ნორვეგიისადმი

ლონდონი, 8 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ნორვეგიის მთავრობას გადაეცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ცნობა იმის შესახებ, რომ „ისინი უფლებას იტოვებენ მიმართონ ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც საჭიროდ დაინახავენ იმისათვის, რათა ხელი შეუშალონ ან საშუალება არ მისცენ გერმანიას მიიღოს ნორვეგიიდან მისთვის საჭირო მასალა“. ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი გადაჭრით უარჰყოფენ იმის უფლებას, რომ ნორვეგიის წყლები გამოყენებულ იქნას „კონტრაბანდული“ ტვირთის გადასაზიდავად.

ორივე მთავრობა გაფრთხილებას იძლევა, რომ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების სამი რაიონი დანაღმულ იქნება და ნაოსნობისათვის საშიში გახდება. გემები, რომლებიც ამ წყლებში დასცურავენ, ამას თავისი საკუთარი რისკით შვრებიან. ნორვეგიის გემები ან სხვა ქვეყნების გემები რომ ამ რაიონებში არ შემოვიდნენ, ისინი დაცულ იქნებიან ინგლისის სამხედრო ხომალდების მიერ ნაღმების ჩაწყობიდან 48 საათის განმავლობაში. ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ „ნაღმების ჩაწყობა ხელს არ უშლის ნორვეგიის გემებს თავიანთ ნავსადგურებში გაემგზავრონ“.

ნოტის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: „ორივე მთავრობა იუწყება, რომ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების შემდეგი რაიონები საშიში გახდნენ ნავიგაციისათვის, რადგან იქ ჩაწყობილია ნაღმები:

სტატლანდი—რაიონი, მდებარე ნორვეგიის სანაპიროსა და იმ ხაზებს შორის, რომლებიც აერთებენ შემდეგ წერტებს: 1) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 11 წუთი 6 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 5 გრადუსი 6 წუთი 12 წამი, 2) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 9 წუთი 24 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 5 გრადუსი 0 წუთი 13 წამი, 3) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 12 წუთი 18 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 4 გრადუსი 49 წუთი 30 წამი, 4) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 19 წუთი 30 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 5 გრადუსი 5 წუთი 36 წამი და 5) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 12 წუთი 0 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 5 გრადუსი 3 წუთი და 0 წამი.

ბიუდი—რაიონი, მდებარე ნორვეგიის სანაპიროსა და იმ ხაზებს შორის, რომლებიც აერთიანებენ შემდეგ წერტებს: 1) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 58 წუთი 27 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 7 გრადუსი 5 წუთი 30 წამი, 2) ჩრდილოეთი განედის 63 გრადუსი 3 წუთი 30 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 6 გრადუსი 54 წუთი 0 წამი, 3) ჩრდილოეთი განედის 63 გრადუსი 12 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 7 გრადუსი 4 წუთი 30 წამი და 4) ჩრდილოეთი განედის 62 გრადუსი 59 წუთი 24 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 7 გრადუსი 7 წუთი 15 წამი.

ვესტ-ფიორდი—რაიონი, მდებარე ნორვეგიის სანაპიროსა და იმ ხაზებს შორის, რომლებიც აერთიანებენ შემდეგ წერტებს: 1) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 24 წუთი 40 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 34 წუთი 0 წამი, 2) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 27 წუთი 30 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 24 წუთი 0 წამი, 3) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 28 წუთი 55 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 6 წუთი 45 წამი, 4) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 33 წუთი 55 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 13 გრადუსი 51 წუთი 30 წამი, 5) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 37 წუთი 55 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 2 წუთი 15 წამი და 6) ჩრდილოეთი განედის 67 გრადუსი 26 წუთი 20 წამი და აღმოსავლეთი გრძედის 14 გრადუსი 38 წუთი 30 წამი“.

ნორვეგიის მთავრობის დეკლარაცია

ოსლო, 8 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიის მთავრობამ საგარეო საქმეთა კომისიასთან შეთანხმებით გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც გადამჭრელ პროტესტს შეიცავს ინგლისისა და საფრანგეთის მიერ საერთაშორისო სამართლისა, ნორვეგიის სუვერენიტეტისა და ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ დღეს, დილით, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნაღმების ჩაწყობის შესახებ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების სამ რაიონში იმ მიზნით, რათა შეაჩერონ თავისუფალი ნაოსნობა ამ წყლების შიგნით და აგრეთვე გადაწყვეტილება ინგლისის სამხედრო გემების გაგზავნის შესახებ საპატრულო სამსახურის გასაწევად ამ რაიონებში.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ნორვეგია ევროპაში ამ ომის დაწყებიდანვე სასტიკად იცავდა ნეიტრალიტეტის ყველა დაწესებულ პრინციპებს. როდესაც ნორვეგიის მთავრობამ ნაოსნობის ნება დართო მეომარ ქვეყნებს ნორვეგიის ტერიტორიული წყლების ფარგლებში, ამ შემთხვევაში იგი მოქმედებდა ნეიტრალიტეტის ყველასათვის ცნობილი პრინციპების სრული შესაბამისობით. იმის გამო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ამჟამად გადადგეს ისეთი ნაბიჯი, რაც მიზნად ისახავს შესწყვიტოს ნაოსნობა ნორვეგიის ტერიტორიული წყლების ფარგლებში, ნორვეგიის მთავრობა ვალდებულად სთვლის თავს მოაგონოს მათ ის შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია ინგლისის მთავრობის მიერ ამა წლის 11 მარტს. ინგლისის მთავრობა დასთანხმდა მაშინ, რომ ნორვეგიის საქონელი, იმ საქონლის ჩათვლითაც კი, რომელიც მიჩნეულია კონტრაბანდად, შეიძლება გაიყიდოს და გატანილ იქნას ნორვეგიიდან გერმანიაში. ნორვეგიის მთავრობას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რისთვისაც მოსალოდნელი ყოფილიყო ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა ძალადური ჩარევა და ცდა შეაჩერონ გემების მოძრაობა ნორვეგიის ტერიტორიული წყლების ფარგლებში. ნორვეგიის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დასთანხმდეს, რომ მეომარმა ქვეყნებმა ნაღმები ჩააწყონ ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებში. ნორვეგიის მთავრობა მოითხოვს, რათა ინგლისმა და საფრანგეთმა დაუყოვნებლივ ამოიღონ ყველა ჩაწყობილი ნაღმი და გაიწვიონ ყველა თავიანთი სამხედრო გემი ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებიდან. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნორვეგიის მთავრობა უფლებას იტოვებს მიიღოს სათანადო ზომები, რასაც კი საჭიროდ დაინახავს, ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დასაცავად.

როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს ნორვეგიის მთავრობამ ინგლისისა და საფრანგეთის დესპანებს ოსლოში გადასცა განცხადება, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებს ნორვეგიის სუვერენიტეტისა და ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ. განცხადების ტექსტი დეკლარაციის ტექსტის ანალოგიურია.

ნორვეგიის წყლები დანაღმეს

ლონდონი, 8 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, განთიადისას, დამთავრდა ნაღმების ჩაწყობა ნორვეგიის სანაპიროების მახლობლად. დანაღმვას აწარმოებდნენ შეერთებული ძალებით ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემები.

შვედური პრესა ინგლისის მიერ ნორვეგიის სუვერენიტეტისა და ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ

სტოკჰოლმი, 8 აპრილი (საკდესი). შვედური გაზეთი „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“ აღნიშნავს, რომ ინგლისის მიერ ნორვეგიის წყლების დანაღმვის შედეგად ჩრდილოეთი ნორვეგია სრულიად მოწყვეტილია სამხრეთ ნორვეგიას. კავშირი ნორვეგიის ამ ნაწილებს შორის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შვეციის მეშვეობით. ამრიგად ინგლისის მიერ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების დანაღმვა შეუძლებელს ხდის განგრძობილ იქნას შვეციის მადნის ტრანსპორტი გერმანიაში. „დანაღმულ არესთან,—სწერს გაზეთი,—დაყენებულია ბრიტანეთის ძლიერი მცველი ფლოტი, და ამიტომ ნორვეგიას შესაძლებლობა არა აქვს შეეცადოს ძალით ამოიღოს ნაღმები“.

შემდეგ გაზეთი აღწერს დანაღმული არეების განლაგებას. დასავლეთი ფიორდის დანაღმული არე სრულიად ხურავს ნარვიკის ნავსაყუდელის შესასვლელსა და გასასვლელს. ქრისტიანსუნდისა და სტადის არეები ხურავენ ფიორდების გასასვლელს ნორვეგიის იმ ნაწილისკენ, რომელიც ყველაზე უფრო წაწეულია ზღვისაკენ.

„ნიუა დაგლიგტ ალეჰანდის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: „მოკავშირეთა გადაწყვეტილებამ, რომ, გერმანიის გემების მიმოსვლისათვის ხელის შეშლის მიზნით, მოახდინონ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების ბლოკადა, ლონდონში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ეს გადაწყვეტილება ყველა წრეში მიაჩნიათ უდიდეს მოვლენად, როგორიც კი ომის მთელი ხნის განმავლობაში მომხდარა“.

დანიურმა გაზეთებმა თავიანთი ბერლინელი კორესპონდენტებისაგან მეტად შემაშფოთებელი დეპეშები მიიღეს. „აქ ჰფიქრობენ,—სწერს კორესპონდენტი,—რომ გერმანია მზად არის იმოქმედოს სწრაფად და ისე, როგორც არავინ მოელის. ბერლინში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დაიწყო ომის ახალი ფაზა“.

„დასავლეთის სახელმწიფოები, — სწერს შემდეგ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“,—დღეს დილით სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ნორვეგიის წყლების დანაღმვა ნორვეგიის ნეიტრალიტეტის ყველაზე სერიოზული დარღვევაა. იგი ნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეიძლება ჩათრეულ იქნან დიდ სახელმწიფოთა ომში“. გაზეთს ეშინია სერიოზული საპასუხო ღონისძიებებისა გერმანიის მხრივ.

„აფტონბლადეტი“ მოწინავე სტატიაში მკაცრად აკრიტიკებს ლონდონისა და პარიზის პოზიციას: „ინგლისის მიერ ნორვეგიის ტერიტორიული წყლების დანაღმვას,—სწერს გაზეთი,—აქვს ცხადი მიზნები—იძულებული გახადოს ტრანსპორტები ტერიტორიული წყლებიდან ღია ზღვაში გავიდნენ, რათა ინგლისის სამხედრო გემებს შეეძლოთ შეხვდნენ მათ. ეს ღონისძიება წმინდა სამხედრო აქტია. იგი განხორციელებულია ნორვეგიის ტერიტორიაზე და ეწინააღმდეგება ნორვეგიის სუვერენიტეტს“.

შვეციის საღამოს გაზეთი „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდა“ კოპენჰაგენიდან იუწყება, რომ, მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის იმ სამხედრო გემების რიცხვი, რომლებმაც დღეს, დილით, კატეგატი გაიარეს და ჩრდილოეთისაკენ მიემართებიან, დაახლოებით 100 ერთეულს აღწევს. ამ ჯგუფში შედიოდნენ შეიარაღებული ტრალერები, სადარაჯო გემები და დიდი სამხედრო გემები. დანიის სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ გერმანიის საზღვაო ექსპედიციის განზრახვას შეადგენს დანაღმოს წყლები ნორვეგიის სამხრეთ სანაპიროდან დაწყებული დანიის ნაპირებამდე და თავისუფალი დასტოვოს გზა ნორვეგიასთან და შვეციის დასავლეთ სანაპიროსთან კავშირ-ურთიერთობისათვის.

იმავე გაზეთის კორესპონდენტი ოსლოდან ადასტურებს ცნობას, რომ გერმანიის დიდი საზღვაო ძალები მოქმედებენ ნორვეგიისა და დანიის ნაპირებს შორის. ნორვეგიის ნაპირებიდან დაინახეს გერმანიის სამხედრო გემების ესკადრა, რომელიც დაახლოებით 50 ერთეულისაგან შესდგებოდა.

ქარელში მომცდარია 7 ტრაქტორი

საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობის შესახებ „კომუნისტის“ თანამშრომელი ტელეფონით ესაუბრა საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანს ამხ ხუციშვილს, რომელმაც განაცხადა:

ქარელის რაიონში თავთავიანი მარცვლეულის, აგრეთვე შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის და სხვა კულტურათა თესვა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. თავთავიანი კულტურები კოლმეურნეობებში დათესილია 2.800 ჰექტარზე — გეგმის 98 პროცენტი (დაუთესავია მხოლოდ მთიანი ადგილები, სადაც აქამდე თოვლი იყო და ნიადაგი ჯერ არ გამშრალა), შაქრის ჭარხალი კი 1662 ჰექტარიდან დათესილია 1100 ჰექტარამდე. საქმეს აფერხებს ტრაქტორების ცუდი მუშაობა. ქარელის მტს-ის 7 ტრაქტორი, რაც მიღებულია აგარისა და გორის მტს-ებიდან, ცუდად შეკეთების გამო მომცდარია. ჩვენ ვაყენებთ საკითხს საქ. მიწსახკომის წინაშე, რათა პასუხისგებაში მიცემულ იქნან აღნიშნული ტრაქტორების ცუდად შეკეთებაში დამნაშავენი.

ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

ოსლო, 8 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დღეს, დილის 6 საათზე, ინგლისის დესპანმა ნორვეგიაში დორმერმა და საფრანგეთის დესპანმა დე დამპიერმა ინახულეს საგარეო საქმეთა სამინისტრო და გადასცეს ნოტა ნორვეგიის მთავრობას. როგორც პრესა იუწყება, ნორვეგიის მთავრობას აქამდე არ მიუღია არავითარი გაფრთხილება, მისთვის არ მიუმართავთ აგრეთვე წინადადებით, რომ ნორვეგიას თვით ჩაეწყო ნაღმები. ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედება სრულებით მოულოდნელი იყო ნორვეგიისათვის.

გერმანიის სამხედრო გემების გადაჯგუფება

ოსლო, 8 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ, როგორც დასტურდება, გერმანიის სამხედრო გემების დიდმა რაოდენობამ, საერთოდ 90-დან 100 გემმა, გაიარა ჩრდილოეთისაკენ, დიდი ბელტისა და კატეგატის მიმართულებით. ეს ხომალდები უმთავრესად შესდგება პატარა დამხმარე გემებისა და შეიარაღებული ტრაულერებისაგან, მაგრამ შემჩნეულ იქნა აგრეთვე დიდი სამხედრო გემებიც.

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ კომუნისტების წინააღმდეგ საფრანგეთის მთავრობის რეპრესიების შესახებ

ლონდონი, 8 აპრილი (საკდესი). კომენტარებს უკეთებს რა საფრანგეთის მთავრობის ახალ დეკრეტს კომუნისტების წინააღმდეგ, გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ეს დეკრეტი „საზიზღარია“. „ეს დეკრეტი, თუ იგი გაუქმებულ არ იქნა, უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოიწვევს საფრანგეთში“.

შეტაკება განდის მომხრეთა და ბოსის მომხრეთა შორის

ლონდონი, 8 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ კალკუტაში მომხდარა განდის მომხრეთა და ბოსის მომხრეთა შეტაკება, რის დროსაც დაჭრილა 7 კაცი.

განდის მომხრეებმა დემონსტრაცია მოაწყეს განდისტური ლოზუნგებით. ბოსის მომხრეებმა (როგორც ვიცით, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე ბოსი სათავეში უდგას ეგრეთწოდებულ „ანტიკომპრომისულ ბლოკს“, რომელიც ილაშქრებს ინგლისთან ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგ და მოითხოვს ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას) ქვა დაუშინეს ამ დემონსტრაციას. განდის მომხრეთა დემონსტრაცია, რომელიც ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომმა მოაწყო, გაუქმებულ იქნა დემონსტრაციის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ.

ლ ე ქ ც ი ა

დღეს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 86) პ. თავხელიძე წაიკითხავს საჯარო ლექციას — „სოციალისტური სახელმწიფოს სტალინური თეორია“.

შესვლა თავისუფალია.

„კომუნისტის“ რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტში

10 აპრილს

შესდგება ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ბახჩისარაის შადრევანი“, **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „მადამ სან-ჟენ“, **მუსკომედია**—„ნატვრის თვალი“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მეზღვაურნი“, **ოქტომბერი** — „დიდი ცხოვრება“; **დამკვრელი** — „მეზღვაურნი“, **კომკავშირელი** — „წყნარი დონი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებლები“, **ლუქსემბურგის სახ.** — „გამანადგურებლები“, **26 კომ. სახ.** — „გამანადგურებლები“, **კომინტერნი** — „გამანადგურებლები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ორჯონიკიძის რაისაბჭოს განათლების განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ განყოფილების მთავარ ბუღალტერს ვასო ნადირაშვილს მისი შვილის

თ ე მ უ რ ი ს

გარდაცვალების გამო. 5942

ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას. სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან

ანა კაზმინის-ასულ ენშანკინას

გარდაცვალებას. 5944

უახლოესი მეგობრები ვ. დევაძე, დ. შალუტაშვილი, ა. დემეტრაშვილი, გ. ბეროზაშვილი, ნ. ბეროზაშვილი, ზ. მუმლაძე, ს. ნოზაძე, ა. მგელაძე და მ. დანელია იუწყებიან

გიორგი ივანეს-ძე კიკნაძის

გარდაცვალებას.

გოგია, გურჯიძე, მომცელიძე, ცხვედიანი, გ. სულაქველიძე, ჭანუყვაძე, ჩაფიჩაძე, ქორიძე, კაჭარავა, იოსელიანი, ნიკოლავა, დანელია, ბუზარიაშვილი, იორაშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ ერმილე ბურჭულაძის დედის

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ს

გარდაცვალების გამო.

ცოლი ეთერ, შვილი ელგუჯა, მშობლები კონსტანტინე, ნინუცა, ძმები შალიკო, სოსიკო, დები მანქცია, გუნარა, რძალი ფაცია იუწყებიან

ჟორა ორჯონიკიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა წაღვერში 11/IV. 5950

მეუღლე მარო შვილებით კუკუნიათი და ციალათი იუწყება, რომ 12/IV 12 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

სანდრო დევიძის

სამოქალაქო პანაშვიდი.

ს. ართილაყვა, ს. ბერეჟიანი, კ. გაგუა, ა. მჭედლიძე, დ. ჯავახია, მ. მამფორია, შ. სიხარულიძე, ს. ყალიჩავა, კ. მენაღარიშვილი იუწყებიან იასონ ხუციშვილის საყვარელი შვილის

დ ო დ ო ს

გარდაცვალებას. 5952

მეუღლე ტარიელ ნიკოლოზის-ძე გვაზავა შვილებით სონია, გრიშა, ამბერკი და სიძით ვასო ჩარგაზიათი—იუწყებიან ძვირფასი დედის

ალათი სიმონის-ასულ გვაზავას

გარდაცვალებას.

ცოლი ნადია, შვილი მერიკო, დედა პელაგია, ძმა არჩილ ცოლშვილით, და ქსენია იუწყებიან

კოსტა იაკობის-ძე ინჯიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/IV 7 ს. გამოსვენება 12/IV ნინოშვილის, 48/ᲓᲘ. 5951

მშობლები ქეთო და იასონ ხუციშვილები იუწყებიან ერთადერთი შვილის

დ ო დ ო ს

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/IV 7 ს. გამოსვენება 12/IV 1 ს. ბელინსკის, 8. 5946

მეგობრები ბარათაშვილი, ჩაჩხიანი, სიმონიანი, იტრიევა, ძახარაძე, დევიძე, გელაშვილი, ნუცუბიძე, კიკვიძე, კანკავა, ეფრემიძე, დეკანოსიძე, გედევანიშვილი, ბალავაძე, რამიშვილი იუწყებიან ვასო ნადირაშვილის შვილის

თ ე მ უ რ ი ს

გარდაცვალებას. 5947

მეუღლე ფაცია ირემაძე, შვილები ქეთევან და ნინო, სიძეები შ. რადიანი, მ. ჩაჩავა იუწყებიან, რომ 12/IV 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ნიკოლოზ გიორგის-ძე ირემაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 5948

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები საპარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 197